№1678 2015 წლის 31 ივლისი ქ. თბილისი

ტყიბულის მუნიციპალიტეტის სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიისაგან გათავისუფლების თაობაზე

1. „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №136 დადგენილებით დამტკიცებული დებულების 7^4 მუხლის საფუძველზე, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებით, გზების სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელების მიზნით, ტყიბულის მუნიციპალიტეტი გათავისუფლდეს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიისაგან 3 თვის ვადით და მიეცეს უფლება, ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ მანჭიორის ტერიტორიაზე მოიპოვოს 10 000 (ათი ათასი) $მ^3$ საშენი მასალა (წინწკილას კირქვა, (ღორღი)), შემდეგ X და Y კოორდინატების საზღვრებში:

№	X	Y
1	331173	4682394

2	331227	4682436
3	331238	4682417
4	331217	4682403
5	331234	4682383
6	331190	4682373
S = 0, 20 ჰა		
WGS 1984.		

2. დებულების 7^4 მუხლის 2^1 პუნქტის შესაბამისად, ტყიბულის მუნიციპალიტეტის 10 000 (ათი ათასი) $მ^3$ წინწკილას კირქვას (ღორღი) მოპოვების ლიცენზიისაგან გათავისუფლებისათვის, დადგინდეს განსხვავებული გადასახდელი თანხა 1739 (ათას შვიდას ოცდაცხრამეტი) ლარის ოდენობით.

3. ტყიბულის მუნიციპალიტეტი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ – გარემოს ეროვნული სააგენტოს შესაბამისი დასკვნით (გეოსაინფორმაციო პაკეტი) განსაზღვრული პირობების შესრულება;

ბ) მოპოვებული სასარგებლო წიაღისეული გამოიყენოს მხოლოდ ამ განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრული მიზნისათვის;

გ) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიისაგან გათავისუფლებისათვის უზრუნველყოს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში ამ განკარგულების მე-2 პუნქტით განსაზღვრული თანხის გადახდა, განკარგულების ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში;

დ) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების სამუშაოები საავტომობილო გზების გასწვრივ აწარმოოს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო

დაწესებულებასთან – საავტომობილო გზების დეპარტამენტთან შეთანხმებით და მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისად.

4. ტყიბულის მუნიციპალიტეტის მიერ ლიცენზიისაგან გათავისუფლების საფუძველზე მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის მიზნობრივად გამოყენების ზედამხედველობა განახორციელოს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებამ – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტმა (შემდგომში – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი).

5. ტყიბულის მუნიციპალიტეტმა სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ვადის გასვლიდან ორი კვირის ვადაში გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტში წარადგინოს ინფორმაცია მოპოვებული ბუნებრივი რესურსის ოდენობის შესახებ.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**